საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოვანე

იოვანე, VIII ს. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ქართლის ერისმთავრის, არჩილის ძე.

„მატიანე ქართლისაჲს" ცნობით, მამის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ ი. დას. საქართველოში გადავიდა და დაეუფლა ეგრისს, სვანეთს, თაკვერს, არგვეთს და გურიას, რ-ებიც, ჯუანშერის ცნობით, მირის სიკვდილის შემდეგ არჩილს დარჩენია საუხუცესოდ.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ა. ბოგვერაძე